ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48253646**

თარიღი:**30/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 653 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №გ-49.4925360001 განკარგულების, არასამეწარმეო (არაკომერციული)იურდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს (ს/კ 421274506) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48,482334620 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტისა და ა(ა)იპ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მმართველის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 24 დეკემბრის #55/21 წერილის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 653 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი ერთის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მმართველის მოვალეობის შემსრულებელს (ლ.გელენიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი